# არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
# "საქართველოს საცხენოსნო სპორტის ეროვნული ფედერაცია"
## წევრთა საერთო კრების ოქმი

ქ. თბილისი 2012 წლის 14 დეკემბერი

კრება ჩატარდა ქ. თბილისში, მისამართზე: თბილისი, სასტუმრო "ბატესტა".

კრება დაიწყო 14 სთ.00 წთ., ხოლო დასრულდა 15 სთ.15 წთ.

კრება გახსნა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ლაშა ჯაიანმა, რომელმაც განაცხადა, რომ მოწვეული 20 დელეგატიდან კრებას ესწრება 18 დელეგატი, ამდენად კრება უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

ლაშა ჯაიანმა გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველოს საცხენოსნო სპორტის ეროვნული ფედერაციის კრება მოწვეული იქნა პრეზიდიუმის მიერ 2012 წლის 04 დეკემბერს შემდეგი დღის წესრიგით:

დღის წესრიგი:

1. ფედერაციის ანგარიში (მომხსენებელი ბაქარ გაჩეჩილაძე).
2. ფედერაციის სტრუქტურა (მომხსენებელი ბაქარ გაჩეჩილაძე).
3. ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები.
4. ვიცე პრეზიდენტის და გენერალური მდივნის დამტკიცება.
5. ფედერაციის პრეზიდიუმის არჩევა (მომხსენებელი ალექსანდრე დგებუაძე).
6. სეოკის სესიის დელეგატის არჩევა (მომხსენებელი ლაშა ჯაიანი).
7. წესდებაში ცვლილებების შეტანა (მომხსენებელი ლაშა ჯაიანი).

შემდეგ კრების თავმჯდომარედ წარადგინა ფედერაციის გენერალური მდივანი ბაქარ გაჩეჩილაძე, კრების მდივნად არჩეული იქნა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ზაზა ჩიტრეკაშვილი.

ამის შემდეგ კრება შეუდგა მუშაობას.

მოისმინეს და გადაწყვიტეს:

პირველ საკითხთან დაკავშირებით:

2008-2012 წლების ანგარიში (მომხსენებელი ბაქარ გაჩეჩილაძე).

ანგარიში მიღებული იქნა ცნობად და კენჭისყრაზე ერთხმად შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

მეორე საკითხთან დაკავშირებით:

ფედერაციის სტრუქტურა (მომხსენებელი ბაქარ გაჩეჩილაძე).

ფედერაციის წარმოდგენილი სტრუქტურა ერთხმად იქნა დამტკიცებული

მესამე საკითხთან დაკავშირებით:

ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები

ბაქარ გაჩეჩილაძემ ყრილობის დელეგატებს აცნობა, რომ ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატის განცხადება წარმოადგინა მხოლოდ ლაშა ჯაიანმა და დელეგატებს გააცნო მისი ავტობიოგრაფია.

ფედერაციის პრეზიდენტად 4 წლის ვადით (2012-2016 წლების ოლიმპიური ციკლი) ერთხმად იქნა არჩეული ლაშა ჯაიანი. მისამართი: საქართველო, თბილისი, ატენის ქ. 20, ბ. 56. პირადი № 01008017004.

მეოთხე საკითხთან დაკავშირებით:

ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის და გენერალური მდივნის დამტკიცება.

ფედერაციის პრეზიდენტმა ლაშა ჯაიანმა ვიცე პრეზიდენტად დაასახელა ზაზა ჩიტრეკაშვილი (პირადი № 01026002285), ხოლო გენერალურ მდივნად ბაქარ გაჩეჩილაძე (პირადი № 01006004910), დელეგატებმა შენიშვნების გარეშე დაამტკიცეს წარმოდგენილი კანდიდატურები 2012-2016 წლებში (ოლიმპიური ციკლი).

მეხუთე საკითხთან დაკავშირებით:

ფედერაციის პრეზიდიუმის არჩევა

პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატები დაასახელა ალექსანდრე დგებუაძემ.

1. ლაშა ჯაიანი (პრეზიდენტი).
2. ზაზა ჩიტრეკაშვილი (ვიცე-პრეზიდენტი).
3. ბაქარ გაჩეჩილაძე (გენერალური მდივანი).
4. შალვა გაჩეჩილაძე (ნაკრების მწვრთვნელი, წევრი).
5. კახაბერ კიკიანი (ნაკრების წევრი).
6. გელა ტატანაშვილი (თბილისის იპოდრომი, მწვრთვნელი).
7. ოთარ ნარმანია (აფხაზეთი).
8. გიორგი კურკუმული (კლუბი ნატახტარი).
9. გიორგი აფციაური (ვეტერინარი).

დელეგატებმა შენიშვნების გარეშე სიით უყარეს კენჭი წარმოდგენილ კანდიდატურებს და 4 წლის ვადით (2012-2016 წლების ოლიმპიური ციკლი) ერთხმად აირჩიეს პრეზიდიუმი შემდეგ შემადგენლობით:

- ლაშა ჯაიანი.
დაბადებული: 22.11.1966 თბილისი.
მისამართი: საქართველო, თბილისი, ატენის ქ. 20, ბ. 56.
პირადი № 01008017004.
- ზაზა ჩიტრეკაშვილი.
დაბადებული: 04.02.1979 თბილისი.
მისამართი: საქართველო, თბილისი, ფანასკერტელის ქ. კორპ. 6, ბ. 52.
პირადი № 01026002285.
- ბაქარ გაჩეჩილაძე.
დაბადებული: 19.10.1966 თბილისი.
მისამართი: საქართველო, თბილისი, დიღმის მას. III კვარტ. კორპ. 5, ბ. 44.
პირადი № 01006004910.

- შალვა გაჩეჩილაძე.
დაბადებული: 21.12.1987 თბილისი.
მისამართი: საქართველო, თბილისი, რ. თაბუკაშვილის ქ. 47.
პირადი № 01017025215.
- კახაბერ კიკიანი.
დაბადებული: 25.04.1967 თბილისი.
მისამართი: საქართველო, თბილისი, ა. ჩიქობავას შეს. №7.
პირადი № 01001012317.
- გელა ტატანაშვილი.
დაბადებული: 07.04.1965 კასპი.
მისამართი: საქართველო, თბილისი, ვარკეთილის მას. VI კვარტ. კორპ. 13, ბ. 1.
პირადი № 01027013753.
- ოთარ ნარმანია.
დაბადებული: 10.10.1958 ოჩამჩირე.
მისამართი: საქართველო, ოჩამჩირე, ლაბახუას ქ. 73.
მცხოვრები: საქართველო, თბილისი, ანტონოვსკაიას ქ. 10.
პირადი № 62005012265.
- გიორგი კურკუმული.
დაბადებული: 29.08.1967 ჭიათურა.
მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქ. 67ა, ბ. 31.
პირადი № 01024016942.
- გიორგი აფციაური.
დაბადებული: 08.06.1985 თბილისი.
მისამართი: საქართველო, თბილისი, ილურიძის ქ. 81.
პირადი № 01019021587.

მეექვსე საკითხთან დაკავშირებით:

ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო-საარჩევნო სესიის დელეგატის არჩევა.

ფედრაციის პრეზიდენტმა ლაშა ჯაიანმა გააკეთა მოახსენება, რომ 2012 წლის 20 დეკემბერს ტარდება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო-საარჩევნო სესია და რომ სეოკ-ის აღმასკომის 3 სექტემბრის დადგენილების თანახმად ფედერაციას გამოეყო კვოტა ერთი დელეგატისთვის. საჭიროა დელეგატის არჩევა.

ლაშა ჯაიანმა წამოაყენა წინადადება, რომ სეოკ-ის სესიის დეგელატად არჩეულ იქნას ბაქარ გაჩეჩილაძე.

დადგინეს:

ბაქარ გაჩეჩილაძე არჩეულ იქნას საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო-საარჩევნო სესიის (20.12.2012) დელეგატად.

მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით:

წესდებაში ცვლილებების შეტანა (მომხსენებელი ლაშა ჯაიანი).

საერთო კრებას ლაშა ჯაიანმა წარუდგინა ფედერაციის წესდების ახალი რედაქცია (თან ერთვის), რომელიც შესაბამისობაშია მოყვანილი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წესდებასთან და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ქარტიასთან, კრებამ კენჭისყრაზე ერთხმად დაუჭირა მხარი წესდებაში ცვლილებებს და დაამტკიცა წარმოდგენილი ახალი რედაქციის წესდება.

საერთო კრებამ ფედერაციის არჩეულ პრეზიდენტს ლაშა ჯაიანს დაავალა უზრუნველყოს ახალი პრეზიდიუმის და წესდების რეგისტრაცია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

კრების თავმჯდომარე: ბაქარ გაჩეჩილაძე.

კრების მდივანი: ზაზა ჩიტრეკაშვილი.

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | **N130136430** |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | **16.02.2013 წ** |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | **ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება** |
| ნოტარიუსი | **ქეთევან გრიგოლია** |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | **ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას 45, მესამე სართული** |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | **593 127322** |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | **05652603566913** |

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ორი ათას ცამეტი წლის თექვსმეტ თებერვალს მე, ქეთევან გრიგოლიას, ნოტარიუსს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №45, მე-3 სართულზე მომმართეს: ბაქარ გაჩეჩილაძემ და ზაზა ჩიტრეკაშვილმა, რომლებმაც წარმომიდგინეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს საცხენოსნო სპორტის ეროვნული ფედერაცია"-ს წევრთა საერთო კრების ოქმი და სურდათ ოქმზე ხელმოწერების სანოტარო წესით დამოწმება. მე მათ განვუმარტე, რომ არ ვამოწმებ უფლებამოსილებას, ოქმის შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე მე, ნოტარიუსი ქეთევან გრიგოლია არ ვიღებ პასუხისმგებლობას, მხოლოდ ვამოწმებ ოქმზე ხელმოწერებს.

მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართეს: ბაქარ გაჩეჩილაძემ (დაბ. 19.10.1966წ. თბილისში, პირადობის მოწმობის №ა0137419, პირადი №01006004910, გაც. 15.05.1997წ. თბილისი, დიდუბის რ-ნის შს I-ქვეგანყოფილების მიერ, მცხოვრები ქ. თბილისი, დიღმის მასივი, 3 კვ, კორპ. №5, ბინა №44) და ზაზა ჩიტრეკაშვილმა (დაბ. 04.02.1979წ. თბილისში, პირადობის მოწმობის №11IA08606, პირადი №01026002285, გაც. 18.08.2011წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, მცხოვრები ქ. თბილისი, ზ. ფანასკერტელის ქ. №6, ბინა №52).

მე დავადგინე მათი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

ბაქარ გაჩეჩილაძემ და ზაზა ჩიტრეკაშვილმა წაიკითხეს და განაცხადეს, რომ ოქმი ზუსტად გამოხატავს მათ ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს საცხენოსნო სპორტის ეროვნული ფედერაცია"-ს წევრთა საერთო კრების ოქმზე.

ნოტარიუსის საზღაური: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" მუხლი 31.3, 39.1 და „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის 31.8-ის თანახმად: „თუ ხელმომწერი ხელს აწერს კერძო აქტის რამდენიმე გვერდზე, ხელმოწერის დამოწმებისათვის საზღაური გამოითვლება ხელმოწერათა რაოდენობის შესაბამისად" – სამი ეგზემპლიარი, ოქმის ერთ ეგზემპლიარზე ხელმოწერები შესრულებულია ყველა გვერდზე, სულ რვა ხელმოწერა, თექვსმეტი ლარი, ოქმის ორ ეგზემპლიარზე ხელმოწერები შესრულებულია ბოლო გვერდზე, სულ ოთხი ხელმოწერა, რვა ლარი, სულ დამოწმებულია თორმეტი ხელმოწერა, ოცდაოთხი ლარი + სანოტარო მოქმედებათა ელექტრონული რეგისტრაციის საფასური ორი ლარი, სულ ოცდაექვსი - ლარი.

**ნოტარიუსი:** ______________ ქეთევან გრიგოლია